



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი: გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 7 თებერვალი 1898 წ. № 7

ზინაარსნი: ორიოდე სიტყვა ეროზზე ნ. ურდანიანი. — სნვა-და-სნვა ამავი. — გვალის კორესპონდენციები — ვერიდან კვირამდე. — 1898 წელს სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის გამო — უ. წერილი ამერიკიდან (შემდეგი) ა. ამერიკელიანი. — ლექსი კ. გოგოლაძისა. — ამბები: რკინის გზის სახელისწოდან — კ. ისა. — დედათა კითხვა (შემდეგი) ოლ-დასი. — რა მოუვა სისიყას (შემდეგი). — წერ-ღებ: რედაქციის მ. მართ. — სიმინდის და აპრაშუმის პარკის ფაზები საზღვარ-გარეთ. — უცხო სიტყვების ბხნა. — თეატრის და კერძო განცხადება.

რედაქციის ადრესი: არაქლორის ქუჩა ვადუტის კორპუსის გვერდით სახლი თამაშაიასა.

ცალკე ნომერი ღირს 15 კ.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი


ორიოდე სიტყვა ეროზზე.

„კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1898 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თბამამდე

გაზეთი წლიურათ ღირს გაუკზაენლოთ 7 მანეთათ, ხოლო გაკზაენით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუკზაენლოთ 3 მან. 50 კაპ., გაკზაენით 4 მანეთ. სამი თეთი გაუკზაენლოთ 2 მანეთ., გაკზაენით 2 მ. 50 კ. ა თორ ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოკზაენონ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. 102) და თეთი „კვალის“ რედაქციაში Артиллер. ул. д. Тамашева волеж кадетского корпуса. ქალაქ გარეთ რედაქციას ყველგან ჰყავს თავისი აგენტები.

წაზოგადო ცხოვრებაში, ამა თუ იმ დროს, წინ წამოადგება ერთი რომელიმე საქმე და მიიპყრობს ყველას ყურადღებას. მისი მეთაური და წინამძღოლი იმდენი ღვაწლითაა დასაჯობენ, იმდენს ყვირიან, რომ მაყურებელი სრულიად თავის თავით რწმუნდება, ეს უთუოთ ფარსავი რამ არ არის, თვით ამდენი პატოცემული პირი რატომ განიხილეს ამაზე თავსო. ეს მოსაზრება მაღალი ფარდებიდან ეშვება დაბლა, საზოგადოებაში და ხდება ერთ საჭირ-ბოროტო კითხვით. წინანდელი ეჭვები მის შესახებ იფანტებიან და ფეხს იკიდებს უბრალო დაჯერება, დაჯერება გადაღის რწმენაში, რწმენა კიდევ — გატაცებაში, რის ხელის შეხება და გულგრილათ მოხსენება მომავლინებელ ცოდვით ითვლება. ერთ ამ გვარ ხელ-შეუხებელ მცნებათ დღეს ჩვენში ერობა გადაიქცა. საცა კი მიიხედვე და ვი-საც კი შეხედვე, ყველა გვიძახის ერობა, ერობაო, ხოლო რა არის ეს ერობა, რა შედეგი ექნება მას,



ამის შესახებ იშვიათათ თუ ვინმე აღაპარაკდება. და, თუ აღაპარაკდა, მას უტკველათ დიდ თილისმურ ძაღლს მიაწერს, უფბარ წამლათ აღიარებს, ყოველივე სენის კურნებას უწინასწარმეტყველებს. და რაც უფრო საყურადღებოა, მის თავ განწირულ მკვადგებლათ და მემბარადღეს ჩვენი შეძლებული თავდა-აზნაურობა გამოაჩინს. მას შეუერთდა ეგრეთ წოდებული ინტელიგენცია და ორივე ერთათ სირინოზის ხმით დამლერინან: ერთათ ერთი ერობა ჩვენი მხსნელი, ჩვენი სულის ჩამდგმელი. და ასე ყოველსავე მოვლენას ან ხსნის ან და დაღუბის თვალთ უტკეროან. ჩვენი კი ხელთ ავიღათ უფრო ხსენაიარი საზომი და გავწინავით ერობა ყველა თავის შედგეგმით. ენათთ რა ალაგი უტკერავს მას ცხოვრებაში, ვის დაედება ის მაღაშით და ვისი გზა და ხიდათ გადაიქცევა.

რა არის ერობა? ეს პროვინციის თვით-მართველობაა. სახელმწიფო გუბერნება მარხას და გუბერნიას: შენი შენი საქმეები თითონ განავე და გააწეს-რიგეო. ცხადია, თვით მოქმედება და თვით განსჯა არის ერობის მტკიცე საძირკველი. მარა, რადგანაც მთელ პროვინციას ერთათ თავის მოყრა ღ საქმის წაყენა არ შეუძლია, საჭიროა მან აირჩიოს წარმომადგენელი და მათ ჩააბაროს საქმეთა მსვლელობა. ერობაც ასეთ პირთა კრებულთა. ვინ ირჩევს ამათ? მთელი ხალხი? მთელი პროვინცია? არა, ასში 57-ის თავდა-აზნაურობა ირჩევს თავისივე წოდებდას, დანარჩენი კი სოფელის საზოგადოება და ქალაქი. მაშასადამე ერობა ეს თავდა-აზნაურული დაწესებულებაა par excellence. ერობის თვით-მოქმედება არის ნაშედილათ ბრწყინვალე წოდების თვით-მოქმედება და მეტი არაფერი. ერობის საშუალებით ის განავებს არა მარტო თავის საკუთარ საქმეებს, როგორც ის დღეს შერგება, არამედ მთელი მარხის, მთელი გუბერნიის მის სახანებელში შედის ყველა წოდების და შეძლებას ხალხი, რაც ამავეებს ღ აფართოვებს მის გაყენას ღ უპირატესობას. იქ, სადაც გლენ-კაცობა უამისთაც დაბრუნებული და დამონავეებული მემამულეთაგან, როგორც ეს ქართლ-კახეთშია, ერობა უტკველათ კიდევ უფრო დაამონებს და დაბრუნებს. იქ, სადაც მაღლული თუ ცხადი ბრძოლა ამ მთელსავე მარხის, ერობა განდებდა შეძლებულის და ღონიერის ხელში შეუძლოს და სუსტის დასაჩაქრავ იარაღათ.

მეტყვიოთ: განა სარგებლობა არ არის, თუ ერობა წერილ და ვალარიბებულ თავდა-აზნაურობას ფეხზე წამოაყენებსო. მარა, ერობაში მთელი თავდა-აზნაურობა იღებს მონაწილეობას ღ საქმეც იმაშია, რამ ამ წოდების ღარბი ნაწილი სრულებით გამოირიცხებულა ერობისაგან. მონაწილეობის მიღება და მოკიდებულია საკუთარი მამულის რაოდენობაზე, პა-

ტარა გუბერნიებში საჭიროა 125 დესიატინა საკუთრება, ხმა რომ გქონდეს, ხოლო დიდ გუბერნიებში 475 დესიატინა საჭირო. აქედან აშკარა ერობა აი ამ მემამულეთა დაწესებულება ღ არა მთელი თავდა-აზნაურობის. თქვეთ, თვლისის გუბერნიაში კი 125 დესიატინა 65 დესიატინაზე ჩამოიყვანეს, როგორც ამას სათავად-აზნაურთა კომისია თხოულობს. ამით ერობის ელფერი ოდნავაც არ შეიცვლება. აქ მონაწილე წოდების ხელში 3327 მამული თვლებდა. ამაში ერთადან 72 დესიატინამდე 62 პროცენტია (0—2 დეს.—10%, 3—4 დეს.—8%, 5—8 დეს.—9%, 9—19 დეს.—12%, და ასე ბოლომდე) მარგამ მხედველობაში თუ მივიღებთ იმას, რომ თითო ნაჭერ მამულზე რამდენიმე მონაწილე მოდის, გამოვა რომ დიდ უმრავლესობას 65 დესიატინაზე ნაკლები მიწა აქვს და მაშასადამე ერობაშიაც ხმა არ ექნება. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, აქ ხომ მამულის დაკენებას საზღვარი არ აქვს. აქ 65 დესიატინაში აზნაური ბედნიერი შემთხვევა. იმერეთში წერილი მესაკუთრე ოთხჯერ მეტია ვინმე ამერეთში. აქ მიწათ-მფლობელობა რამდენიმე ფეოდალის ხელშია მოგროვილი, იქ კი ვაფანტულია, ცოტა-ცოტა ყველას აქვს, ხოლო საყოფი კი იშვიათათ. ერთი სიტყვით ერობა რა ფორმითაც უნდა შემოიღონ, სრული თუ დაკლებული ცენზით, ის განდებდა შეძლებულ მემამულეთა ბუდე და ორგანოა. ეს იქნება ისეთივე თავდა-აზნაურული კრება, როგორც ბანკის კრებაა, იმ განსხვავებით, რომ აქ ხმა აქვს ყველას (თუ გუბ.), იქ კი ზოგიერთს, აქ განავებენ ერთ საგანს, იქ კი მრავალს.

ამ საზოგადო სახეს ვერ შეეცლის ის გარემოება, რომ ამ ერობაში გლენთა წარმომადგენლებიც იქნებიან. მარა ვინ არ იცის თუ რას ნიშნავს ეს წარმომადგენელობა. გლენ-კაცობა, როგორც თავდა-აზნაურობა, დანაწილებულია ნიეთიერთათ. გლენი მდიდარი და გლენი ღატაკი—აი მისი შემადგენელი ნაწილები. ყველა სასოფლო საქმეების ბატონი და პატრონი პირველი ვახლავს, მამასახლისი თუ ხსევა მონხელ ამ თითონ ის არის, ან და მისი ყურ-მოკერილი მონაა. ერობის წარმომადგენელობაც აი ამ წრის გლენობას ჩაუვარდება და მით ერთი კიდევ ზედმეტი იარაღი მათეკმა ხელში სოფელში გამოიქიმოს, სახელი გაიკეთოს და თავისუფლათ იპარპაშოს.

ამ გეგათ, შეძლებული თავდა-აზნაურობა და შეძლებული გლენ-კაცობა—აი ვის იარაღთ და იმავე დროს სარბიელათ გადაიქცევა ერობა და მცხოვრებთა დანარჩენ ნაწილს უღლათ დაწვეება. აი ეს გახლავს ერობის კონსერვატიური მარგ და სწო-

რეთ ამიტომ ეტანება მას ჩვენი თავად-აზნაურობა. რამდენათ ერობა მის კერძო ინტერესებს ემსახურება და ერის დანარჩენ ნაწილზე აბატონებს, იმდენათ ჩვენ ვეწინააღმდეგებით ერობას რე მის დღევანდელი ფორმით დამკვიდრებას.

მარა, ერობამ რომ რაიმე ნაყოფი გამოიღოს, საქიროა მისი ამუშავება და ამოძრავება. მემპუღონი იძულებული იქნება თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, გააუმჯობესონ მეურნეობის საზოგადო პირობები, როგორც მაკ. გზების დახსნა, საწყობების გამართვა, სასწავლებლების გამრავლება, წერილი კრედიტის მოწყობა და სხ. და სხ. ერთი სიტყვით უნდა მიიღონ ისეთი კულტურული ზომები, რაც ხელს უწყობს მიმოსვლას, აჩქარებს საქონლის ტრიალს, ყიდვა ვაყიდვას და გადატან გადმოტანას. ხოლო ეს ფულის საბძინების გაწევის და კაპიტალისტური წყობილების დამკვიდრებას ნიშნავს. მისი საშუალებით სოფელი უახლოვდება ქალაქს და ქალაქის ბურჟუაზიული მიდრეკილება სოფელშიც ვადადის. სოფელი ქალაქდება. მაშასადამე ერობა კაპიტალიზმის ერთი იარაღთავანია. კაპიტალი აქაც, როგორც ყოველგან, თავის საბუღარს პოულობს და ახალ ძალას იძენს.

ერობის ასეთი კაპიტალისტური მოქმედების შედეგია თვით ერობის ელ-ფერის შეცვლა და ბოლოს ერთიანთ გადასხვავებრა. ის, როგორც ვიცით, მემპუღელთა ბუღდა, მარა, ფულის ამოძრავებასთან ერთათ, ამოძრავდა მამული და ფულიცენ გაექანა. თავად-აზნაურობა, როგორც უფულო ხალხი, თან და თან კარგებს მიწა-ადგილს და ფულიანი იძენს. მაშასადამე ერობასაც თანდათან ეკარგვის მისი დღევანდელი საფუძველი და რჩება უმამულო თავად-აზნაურთა აპართ. მარა მისი საფუძველი ხომ მიწა-ადგილა, რაკი ეს სხვის საკუთრებათ შეიქმნება, ცხადია ერობამ ან მას უნდა გამოჰყვას და ან სრულებით დაკარგოს თავისი მიწათ-მფლობელობითი ხასიათი. ორივე შემთხვევაში მოწინავე წოდებას ერთმევა თავის მოწინავეობა და ის მიუღო ერში იღესება. ცხადია, ერობის მოტრფილო მემამულეთი ძირში ჭრია იმ ხეს, რომელზედც თითონ სხედან.

ამ სახით, ერობა, მოწინავე წოდების გასაძლიერებლათ მოწოდებული, თავისი კაპიტალისტური მოღვაწეობით ნელ-ნელა ასუსტებს და აქრობს მას. მე მგონია ამას შეუტენებლათ გრძობენ ის ჩვენი ფეოდალები, რომელნიც ვაყერიან: არ გვინდა ერობაო. და მართალიც არიან, კაპიტალიზმი დაუძინებელი მტერია ფეოდალიზმის. ერობა, თანამათ თავისი მიწაგანი ბუნებისა, ხელს უწყობს ნატურალურ მეურნეობის დარღვევას, საქონლის ტრიალის განეი-

თარებას, საწარმოო ძალის აღორძინებას და სოფლის გაქალაქებას. ამას თან მოსდევს წოდებათა ერთმანეთში ათქვეფა და ახალი კლასების შედგენა. რამდენათ ერობა ამას ასრულებს, იმდენათ ის ჩვენი ქვეყნის წინ-წაწევი და განმავითარებელია, იმდენათ ის პროგრესული და სასარგებლო დაწესებულებაა, და აი მხოლოთ ამ უკანასკნელი მოსაზრებით ჩვენ მომხრე ვართ ერობის შემოღების და მისი ასპარეზის გაფართოების...

6. კორნახი.

სხვა-და-სხვა ამბავი.



მ თვის 14-ისათვის დანიშნული ქარაველთა წიგნების გამოცემელ ამანაგობის საზოგადო კრება. იმეღა ამ კრებას წევრთა საკმაო რიცხვი დაესწრება და ამხანაგობის საქმეებს გულდასმით განიხილავს.

ამ ერთ კერაში ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეში დანიშნულია სხვა-და-სხვა „ამხანაგობის“ საზოგადო კრება. მაგრამ არც ერთი მათგანის გამოგება და სარევიზო კომისია წინდაწინ არ აცხადებს საქმეთა მსგეღელობის ეითარებას. ნეტა ე-ცოდეთ როგორი იქნება საზოგადო კრება, რომლის წევრებმა წინდაწინვე არ იცაან „ამხანაგობის“ მდგომარეობა.

თვლისის ქალაქის პოლიციამ ბრძანება მისცა სხვა-და-სხვა განყოფილებათა ბოქაულებს, სასტიკი ზომები მიიღონ ყველა იმ პართა დასაქერათ და პოლიციმისტერის გამკეობაში წარსადგენათ, რომლებიც მათზარობენ, რამე ისინი ეტაპით ვაგზავნილ იქმნან თავის სამშობლოში.

დ. ყვირილიდან წერენ „ივერიას“: „გათენდება თუ არა, მახლობელ სოფლებიდან ჩამოდან აქ 10—13 წლის ბავშვები და დახეტიალობენ ამ დღე ქუჩაში, ბერი მთელი კვირაობით და თვეობით დადის ქუჩაში, არავინ იცის, რით ირჩენს თავს და სადა ათებს ღამეს“ შემდეგ კორესპონდენტი განკვირვებით კითხულობს: „სწორათ საკვირეღლია ამ მკირე წლოგანების ყოფა მდგომარეობის საქმე. ნუ თუ პატრონი არა ჰყავთ... და სხვ. ჩვენი აზრით კი აქ საკვირეღლი არა არის რა: ქუჩა-ქუჩა დადის საშუშაოს საქმენელოთ მამა, ქუჩა-ქუჩავე დახეტიალობენ იმისი ბავშვები.“

უცხოეთის მვენახეთა ეწინაღობები საინტერესოა

ამხავს გეატუკობინებენ: ბ. დიუბუას აღმოუჩენია ბაქტერია, რომელიც მუსრს ავლებს ფილოქსერას. ბაქტერიის აღმოჩენისათვის საფრანგეთის მთავრობას 300.000 ფრანკი მიუცია პრემიათ. იმდელი ფილოქსერასთან ბრძოლას ახლა მანც ნამდვილი „არალკალური“ ხასიათი მიეცემა.

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო კანებათა სამინისტროს ვალუფრეტია შვიი ზღვის პირას სანიმუშო თამბაქოს პლანტაციები გააშენოს.

ქ. ბათომიდან სადგურ ხაშურამდის (მიხილიკოვა) ნაეთის მიღის გასაყვანათ ვალადუდით 2 მილიონი 195 ათასი მანეთი. („ჩენს. ვესტ.“).

ტენნიკურმა „საზოგადოებამ“ ბაქოში, მუსატა გიევის სადგურზე, ცეცხლის გაჩენის მიზეზათ იწინა ტენნიკური ზედ-მხედელთაძრის სისუსტე, და აირტამ შეამდგომლობა დაიწყო, რათა ჩვენშიაც შემოდებულ იქმნას საფაბრიკო ინსპექცია. სწორეთ რომ დიდი ხანია საჭირო იყო ასეთი შეამდგომლობა.

სახელმწიფო საბჭო ახლო მომავალში განიხილავს საკრედიტო კანცელარიის პროექტს შესახებ იმისა, რომ სრულიად შეცვლილ იქმნას ქუთათისის სათავად-ზნაურო, საადგილმამულო ბანკის მართვა გამკეობა.

სენეზულმა საბჭომ უყვე ვადაწვიტა, რომ მარ-განეცზე დადებული 1/2 კაბეკი ვადასახლი მარ-განეცის შწარმომებელთა კრების გამკეობას ვადაუცეს. ამავე კრების გამკეობას ვადაუცემა ამ ვადასახლიდან შემოსული ფული 1894 წლიდან დღევანდლამდის.



„კვალის“ კორესპონდენცია.



აას სასწერე (შორაპნის მახრა). შორაპნის მახრას სახეგრის ვანყოფილება მეტათ შესანიშნავი კუთხეა თაერის უდაბურობით. „ხან ბარი მა-დლობს“ ხან მთავარაჲა“—ნათქვამია და ეს თქმუ-ლება ისე ზედ-ვამოჭრილი, მკონია, არც ერთ კუთხეზე არ არის, როგორც სახეგრის ვანყოფილებაზე. იყო დრო და მას აქეთ არც დიდ ხანს ვამოუვლია, რომ სათქმელი იყოს, როცა დაბა სახეგრე და მისი შემომავალი კუთხე ყოველიფრით იქებოდა, ჰაითი, მოსავლით, სიუხვით და კეთილმდგომარეობით. ამ კუთხეზე გზებიც კარგი იყო, ხალხიც უფრო მწრო-მელი და გონება-განვითარებულნი, ქვეყნის მეთაუ-რებიც უფრო ვალენიანი იყვენ. დასახებლებ-

ლათ მარტო ისიც კმარა, რომ დაბა სახეგრეში იმ დროს, ასე ვამარჯე, სტამბაც კი იყო გამართული. შავი ზღვიდან სავაქრო გზა, თვალის და თაერის მიმავალი, ამ კუთხეზე ვადიოდა, მოდანახის ციხის პატრონი კერაში ერთხელ ვანენდა შიკრიკის უმ-ღელეს მთავრობასთან. ახლა გზახათ, დერს რა დავ-მართა სახეგრის დაბას და მის კუთხეს. დიდი ზურაბ წერეთლის საბინარაზე, მის ნამოსახლზე, დეს ერთ ჩარჩს ვაუშლია ფრთები და მთელი იმ კუთხის ხა-ლხი თვის კლანჭებში ჩაუწყვედევია. თუ რამ არა ჩიეულმბრებმა ვარემოება, ესე იგი ამ დროის შესა-ფერმა რამე სამრწეული წარმოებამ, არ ვამაუხვიზ-ლა ეს კუთხე, არ ვავა ათი წელიწადი, რომ აქაურ ხალხს მიწა-წყალი სულ ერთიანათ ფეხქვეშ ვამოც-ლებდა და მათ ავდილ მამულზე რამდენიმე ჩარჩი-ვაჭა-რი მოკაცობებს. ამ ქვამათ ამ კუთხეში თავა-დ-ზნა-ურობა და ვლეხობა უკადრეს ღარბ მდგომარეო-ბაში. ჩავარდნილი. დასახსათებლათ სავკო იქნებდა, რომ ამმეტებული ნაწილი ძველი წარჩინებული ვაე-რებისა, რომელნიც ავდილ-მამულით და შემსავ-ლით უწინ ძალიან მდიდრები იყვენ, ისეთ ვაჭარე-ბაში ჩაციენულან, რომ წლის მოსავალი ნახეგარ წლამდისაც აღარ მიყვებათ ხოლმე და შემდეგ, ღმე-რითმა იციან, როგორ ჩრებიან. ყოველივე ეს, რასაც ვარეულია, ქვამა ვითარებას მოჰყვა, მარამ თაერ-და-თავი მიზეზი ამ კუთხის ვაეგრანებისა და ვალატკე-ბისა კი მანც მისი უყურადღებოთ დავდებამა.

საკირეელია, რომ ამ კუთხეს, კაცს ვარდა, ბუ-ნებაც კი ვადამტერა. ამ უკანასკნელ წლებში ჰავა საშინლათ ვასატკუდა. ზამთარი მეტათ ყინებიათი, თეციბ დაიწყო და ვახაფუთული ცივი. შარშან ენახე-ბი დილის რთილიმა შუა მის მოჰყვა; რაც რთილს ვადარჩა, ის სხვა-და-სხვა ქვის ავამყოფობამ იმხეგ-რპლა, საყანე ავდილები ისე ვამოფიტდა, რომ მ-ს-ავალი აღარ მოჰყავთ. ამას ზედ დავრთო მიწებისა და ავდილების დანგრევა. ზევეებმა ყოველგან საერთოთ წახდინეს სასოფლო გზები, ასე რომ საოფლიდან სა-ფულამდე მისელა-მოსელა თითქმის შეწყვეტილია; ხო-ლო თითონ საოფლის ხალხი ისე დამინებულია და მხნეობა ვამოღუფული, რომ აღარაფრის დარდი აღარ აქეს, ასე ამბობს, გზების ვაკეთება გვიანდა, მარა თუ ბ-ნმა ბოკაულმა არ გეზძანა, ისე ჩენი ნებით ვერ ვებდავთო, წელს შუა იანვრიდან ისეთი საოცარი ყი-ნები დაიწყო, რომ წისკვილები წყლებზე სულ დაა-უქმა და ხალხი დამშმა, დავუქული რომ აღარსად იყო, სიმიდის ტარობეს ხარშავდენ და იმით იკეებ-დენ თავს. 17 იანვრიდან დაიწყო თოვ და თოხი დლის ვანმავლობაში იმდენი თოვლი ჩამოჰყარა, რომ არამც თუ გზები შეჰყრა, მეზობლიდან მეზობლამდი-

საკ უჭირდათ მისელა-მოსელა. ამ დროს დაბა საჩხერის ხორაგელეობა სულ არ შემოდინდა სოფლიდან და ისე გაძვირდა ქარნახული, რომ ბათმანი დაუქული ათ შუერთ იყიდებოდა, გირვანქა შაქარი ხუთ შუერთა, ნაეთი თორმეტ კაპეკათ. ქართლიდან ფოსტა ერთი კვარის განმარტობაში ჩაირ მოსულა. ნეტავი რას აკეთებდა ამ დროს ბ-ნი ალაგობრივი ბოქალუნი? იჯდა თავის ობაპში და დილიდან საღამომდის სულ დალილინებდა...

განჯა. კვირას, ოცდა ხუთ იანვარს, გამიართა განჯაში ჩვეულებრივი ქართული საღამო, წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასტუმროსთან. წარმოდგენილი იყო: „ოინბანი“ ანუ „პრიკაშიჩი შკაფში“ აქვ. ცკარლისა და „აღვკატანი“ ე. გუნიასი. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა გაბუნია-ცკარლისა, რომელმაც დიდათ ასიამოვნა დასწრე საზოგადოება თავისი ჩვეულებრივი მ. ხდენილი თამაშით, არა უშავდათ რა სცენის მოყვარეთაც, რომელთა შორის იჩინეს თავი: ქალეში ქ. ბაბალე მიჩიანაშვილისამ და კაცებში ბ. გელიკურაშვილმა.

ამ საღამოსთვის მოწვეული იყო ბ-ნ კასაძის ხორა, რომელმაც უკვე დაიშახურა ქართული საზოგადოების ყურადღება და განჯელებიც დიდი სიამოვნებით მოაღივლენ. ბ. კასაძე მობძანდა რამდენიმე დღით ადრე და აღვლიობრივ სიმღერის მოყვარულთაგან შეადგინა წრე, რომელსაც დასაწყვალა რამდენიმე სიმღერა. 25-სათვის ბ. კასაძე ევლდა ზოგიერთ თავის მომღერალთაც; რგბეტიცაზე შეენიერთ იმღერეს რამდენიმე სიმღერა, მგერამ წინა ღამეს ბ. კასაძემ ხმა საღვაც დაკარგა და ნამდვილ „საღამოს“—კი სიმღერამ სულ სხვა მიმართულება მიიღო. ხორა ულოტბართი დაიქაქსა. ზოგინი სცენაზე არ გამოვიდნენ—ტყუილათ შეერცხვებებოდა, და ამ ნაირათ სიმღერის მოლოდინი გაგვიკრუდა.

კიდევ ღქრთმა უშველოს ჩვენ ახალგაზდა მომღერალს, ბ. კარკარეთელს, რომელიც მოულოდნელათ მოგვევიდა ღ რომელმაც დიდათ ასიამოვნა და მსწრე საზოგადოება.

სიმღერების შემდეგ გამართა ლეკური და გეროპული ცეკვა. ამნაირათ ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა დილის ექვს საათზე. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრა. ბეერი ფეხზე იღვდა და ბეერი უადვილობის გამო უკანვე დაბრუნდა. შემოსავალი გერო-გერობით არ არის გამორკვეული; დაახლოებით ხარჯს გარდა უნდა დარჩეს სამოც თუმანზე არა ნაკლები.

ამ საღამოს გამართვისათვის დიდი მადლობის ღირსნი არიან: საღამოს გამეჭ ქ-ნი ე. აბულაძისა,

რომელიც ყოველ მხრით ცდილობდა, რომ საღამო-კარგათ ჩაეტარებინა—გაბუნია ცკარლისა, რომელიც უსასყიდლოთ შარა გზიდან გვეწვია; აგრეთვე—ბ-ნი კარგარეთელი, ბ. მიჩიანაშვილისა, ბარათა-შვილი, ქ-ნი სარუხანოვისა, ბ. გელიკურაშვილი, ნე ბაქრაძე, დ. ბაქრაძე, მძინაროვი, კლინიაშვილი და სხვანი, წარმოდგენებში მონაწილეობის მიღებისათვის.

განჯელი შეთაფ-უწრე.

**

ბათომა. ბევრჯელ დაწერილა და ახლაც იწერება ბათომის ნათის ზავოდის მუშების უნუგეშო მდგომარეობაზე, თუ რაგერ გაკრეებაში არიან ისინი ჩავარდნილი, მაგრამ ახლანდელი გაკრეება მეტათ საკმარებლოთ უნდა ჩაითვალოს. ქარხნებში მუშაობა სანახეროვოც არ არის, ვინც დიდი ხნიდან დამსახურებულნი არიან, იმათ მივლათ ვერ ითხოვენ და ამისთვის რიგ-რიგობით ამუშავებენ ორ-სამ დღეში ერთ დღეს, იმ მოსაზრებით რომ, თუ ოდესმე მუშაობამ იმატა, მაშინ მზათ ჰყავდეთ გამოცდილი მუშა, და მანამდის კი იმ ცოტა გროშებითაც დააკმაყოფილონ. ამ ნაირათ არიან მუშები დაჯრილი უსაქმით, რადგანაც გონათ აი დღეს იმატებს მუშაობა აი ზელო, და ასე მუდამ რჩებიან პიჩრში ჩალა გამოკლებულნი. მერე რა ემართებათ ასეთ უსაქმო მუშებს? აი რა, ამდენ ლოდინში და ცდაში იმედს თან-და-თან ჰკარგავენ და თან-და-თან ღარბდებიან და შიშვლდებიან, ასე რომ მერმე სირცხვილით ვერც თავის ოჯახში ბრუნდებიან და იწყებენ ათას გვარ ბოროტებას და სისაძაგლეს, რომლის შედეგი ყველასთვის ცხადია. ამსთანავე ურიგო არ იქნება აღენიშნო ზოგიერთი ცვლილება დღევანდელი მუშებისა. ეს ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ გასულ წლებში ცხედავით დღიურ ქირაზე რომ-სულ სულ ახალ-ვახლებს, უცოლ-შვილიანებს, რომელთაც თავის რჩენა და ოჯახის მოთხოვნილება სრულებით არ აინტერესებდათ, არამედ უნდოდათ მხოლოთ ცოტა სახარჯო ფული ეშონენათ და დრო გაეტარებიათ. იმათ ამ წამოსვლით ოჯახში არაფერი არ უხდებოდათ, რადგანაც სახლში მამები და ძმები ასრულებდნენ საქირა. საქმეებს და მოთხოვნილებასაც ოჯახიდანვე იკმაყოფილებდნენ. მაგრამ დღეს სულ სხვას ცხედავთ. დღეს მოდიან სა-მუშაოს საშოვნათ არა უცოლ-შვილო მოცდილი მუშები, არამედ ნამდვილი ოჯახის პატრონი ღ მშრომელი ხალხი, რომელნიც იძულებული გახადა ოჯახის ღ ცოლ-შვილის მოვალეობამ დაენებებიათ სახლ-კარისთვის თავი და ლუკმა პურის საშოვნელათ წამოსულიყვენ.

აი ასეთი მშრომელი მუშა ხალხი დაიძა დღეს

ქალაქებისაკენ სამუშაოს საშოგრაო, მაგრამ სად არის სამუშაო? დღევანდელ მუშა ხალხს რომ თვალ-ყური აღეწინოს კაცმა, ხშირათ დინახანეს ზეოდის კარებზე ისეთ მუშებსაც, რომელნიც ყოფილან მედუნელები, ევაკრები, მოიჯარადრები და წერილი მწარმოებლები, რომლებიც გაკოტრებულან მსხვილი ევაკრების და მწარმოებლების მეოხებით, რადგანც ეერ გაუძლიათ იმათ კონკურენციისათვის და მეტოქეობისათვის.

მ. ფირს—შვილი.

კვირიდან კვირამდე.

„უკა“ და „უკი“—სულ ილია და ილია—„უწის-რეგო მოწისრეკი—რს აქეთ დასამაღაი—ღოწის თაგი—დაფიქვის ვიღობანი—მოღაკ სასარგებლოა—სასურველი მოგვლენა.



ფუ, ამისთანა კვირას! ვანგებ მიწოდდა სულ სასიხარულო ამებზე ჩამომეგლო საუბარი, მარა მასალა ვერ ვიშოვე. საითაც არ ვაგვიგან გამოვიტეფე, საითაც არ წავედ-წამოვედი—ყველ-გან ერთი მეორეზე უარესი ამბები დამიხვდა! ტყუილათ გადავხარე კონკის ბილეთებში ნაწვე-ნადავი გროშები... სიარული სიარულათ შემჩრა და ცული ამბების ზურგზე აკიდება კიდევ ზედ მეტი ბარკია. ამ ჩემ ამბების გუდას რომ ერთბაშათ მოეხსნა თავი—გული შეგვიუხდება, მკითხველი, და ამიტომ ცოტ-ცოტაობით მოგაწოდებ. დღე-წუთათ თვით კონკიდან.

თვლისის ტრამვაი, მე და ჩემმა ლმერთმა, „ევა-იკ“ არის და „უტკ“. ვაი მოსამსახურეებისათვის, ურ მოსიარულეთათვის, ვაი და უთ ერთათ ცხენებისათვის. დილის ექვსი საათიდან ღამის თერთმეტ საათამდის კონკაზე დღამა დარში, ავდარში, სიციქოში, სციქე-ში, თოვლში, ყინევაში ვინ იტყვის, რომ სასამოვერა და საადელიო საქმე იყოს? ტრამვის საზოგადოება ში მოსამსახურეები კი ამ უკანონო კანონს ემორჩი-ლებიან! ღამის თერთმეტ საათზე შეწყდა კონკის მი-მოსვლა, მარა ამით კიდევ არ მინიჭებიათ თავისუფ-ლება მოსამსახურეებს. ვანა იმ თითო-ორთო კაპე-იკანებს მივთვლა და მიანგარიშება არ უნდა, რასაც ბლომათ აბრელებენ ხოლმე დღის განმავლობაში კონდუქტორები! ამასაც ერთ საათზე მეტი დრო უნ-დება. გამოდის, რომ რაღაც 40—50 კაპ. გულის-თვის 18—19 საათს მუშაობენ ხოლმე საწაალი მო-სამსახურეები. კეთილ განწყობილ ქვეყნებში თუ 18 საათს ასწევებენ მუშობს და მხოლოთ 8 საათს აქუ-შაებებენ, აქ სამაგიეროთ 18 საათს ამუშაებებენ და მხოლოთ 8 ასწევებენ! უკუღმა სამართალი დიდი ხა-

ნია სუფევს ჩვენ ქალაქში, მარა დასასრული არ მიეცემა ნეტავი?

* *

აღამიანს რაც მოუყვა—თავის თავს უნდა დაბა-რალოს: ქუეა აქეს და მოიხმაროს, ენა აქეს და ამო-ილოს თავისი პირივების დასაკვლავათ, მარა რა უნ-და ჰქნას საბრალო პირუტყვმა? ვინც ერთხელ მაინც მგადარა ევრის კონკაში, მას ეცოდინება, თუ რა სა-ცოდობა ხდება ხოლმე აღმართზე ასვლის დროს. ვერ ააქეთ ცხენებს კონკა, შეუძლებელია, მა-რა ვინ უჯერებს! მათრახების ტყლაშა ტყულში, ცხენების ხენეშა და გრება არეულ დარეულია ერთ-მანეთში... კონკ მაინც ხშირათ არ იძვრის და ხა-ლხი ფეხით მიდის თავ-თავის გზაზე!

ნეტავი რისთვის და ვისთვის იღებს კისერზე ტრა-მეის საზოგადოება ამოდენა ცოდნა? მიმოხსენებულ-თა საქროების დასაკმაყოფილებლათ? არ ვიცი, ვიცი თ მხოლოთ, რომ საქმის ხალხს კონკის იმედი ვერ ექ-ნება და მისთვის საყრეუტოთ არც სცალია. აქაუ-რი კონკა მოცლილი ხალხის საქმეა; ვინც დროს აფანებს, ის თავისივე ფეხით გაეშურება და უფრო ჩქარაც მივა. კონკაზე დაჯდომა გინდათ, მარა ჯერ ნელ-ნელა მიჰყვებით ქუესს, სანამ დავეწვოდისთ? ცდუ-ბით, დროს კარავთ. კუს ნაბიჯითაც რომ იაროთ, კონკა მაინც ვერ მოგეწევათ და ტყუილათ კისერი მოგენგრევათ უკან-უკან ცქერით. მაშ ნულარ უცდით და ჩქარა გასწიეთ!

გსურთ გაიკოთ, თუ როდის მიდის კონკა ჩქა-რა? მხოლოთ მაშინ, თუ ვინმე ქალი იძულებული შეიქნა გადმოვიდეს მოძრაობის დროს, რადგან ახ-ლა მხოლოთ დანიშნულ ადგილებზე აჩერებენ, და წაიქცა, ხელი მოიტება, დაშვება!...

ტრამვის საზოგადოება უთუოთ ქართულ ან-ღაზს მიჰყვება და უძალო ქალაქში უჯოხოთ და-დის. ქალაქის ძალათ პატრონებს კი ამოუშვებთ ხერი-ნეა და ყვევის მაგიერ „აფუს“ გაიძახიან!

* *

თვლისის თუ სულ უსამართლობაა, ქუთაის-ში თასნი ერთხელ მაინც შეხედვებით სამართლია-ნობას, ახელდინანს საქმე ვათავდა და კატარღაში მაიბრძანეს უწესრიგო მოწესრიგე. ვინ არის ახელე-დანი? ქუთაისის პოლიციის წევრი, ერთი უზრალთა უბნის მეთვალ-ყური (კოკოლოდანიკი). რა ჰქნა? რა ჩაიღინა? სისამაღლე, საზიზრობა! თითონვე შექმნა ყალბი ფულები, თითონვე შეაპარა ალთ-მართალ კაცს, თითონვე ვაჭაროა, ოკმი შეუყენა, ვაჭირა და ვაიმეტა!.. მეჩერ წარდგა სამსჯავროს წინ, როგორც მოწამე, ცოდვამ არია, ჩენება დაუბნია ღ თითონვე მიაგო ის, რასაც სხვას უზნადებდა. მაინ

დაიხსახურა ის, რისიც ღირსი დიდი ხანია ყოფილა: ებოძა ერთგულებისათვის ჯოჯოხეთის ორდენი შეწირვით: „აქვეს წლის კატორა“. ეს მიიღო მხოლოდ ერთ მოწამობისა და ფიცის გატყენ-სათვის, სხვა მხარეში კი მისი მოქმედების გამოუკვეველი დარჩა, თუნდა ესენიც თხელი დოღბანდით არის დაფარული და ყველაფერი ნათლად გამოჰქვიეს შიგ.

რა ამოქმედებდა, რა უღიბნებდა გულში ახელედინას, როცა ის ასეთ შემხარავ საქმეს აწყობდა? აქაც უხერხე შამორების არის ახსნილი საქმე, მარა მინც ცხადია, რომ აქ ევის ჩამომავლობაა ფეხ წასამტერევი საგანი. დაფინა ჯგახძისა, მისი ქმარი და ახელედინა, აი ეიზე არის აშენებული დრამა. სამსხერპლოთ დაფინას ქმარია განზრახული. ამ დრამაში ასე თუ ისე ქუთაისის პოლიცემისტერი ბ.ნი სვიმონაიცი იღებს მიწაწილობას, მარა შორიდან და ფრთხილთ. ახელედინა მოცილდა ქუთაისს, მარა იმისი შიში, რომ არეინ მომეპაროს, ჯიბეში ყაღბი ფულები არ ჩამიდგას და კატორისკენ არ გამიძახოსო, ქუთათურებს მინც არ გაჰქრობათ. ჯოჯოხეთზე უარესი ვასაძლები უნდა იყოს იქ, სადაც კაცს ასეთი ფიქრი მოსვენებას არ აძლევს!

კარგი სამყოფი და კარგი საზოგადოება უთუთოთ იქ იქნება, სადაც ყოველ საქველმოქმედო და სასარგებლო საქმეს თანაურბონდენ და სინაჩულით ეგებებიან. ასეთი ადგილია ბათომი. ამ წლის 15 იანვარს გამართულ საღამოზე თურმე დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. ერთმანეთს გვერდს ვერ ვუვლიდითო, მიამბო ერთმა დამსწრეთაგანმა, ისე იყო ხალხით გაქველილი ვეებერთელა დარბაზი და ყველა ოთახებშია. ქალები ჩიოდენ და საყვედურს აცხადებდენ თურმე, რომ საცეკვაო ადგილი აღარსად იყო. ყურათ საღებიც არის იმათი ჩივილი. ეინ იცის, შეიძლება ზოგიერთ იმათგანს ერთი შემზღალ-შამობზაილება მთელ საქართველოს ერთია. უთუთო ფეხმარდი კავალრებიც ვერ იქნებოდენ ერთგ ვუნებარე. ხუმრობა დასაკლისია კველუციების ხელის შერებ-შემორება, მიგდებ-მოგდება, შერთილ-შემოტრილიება?

რასაკვირველია შემოსავალიც დიდი იქნებოდა ამ საღამოდან, მარა რამდენი—ეს არეინ იცის! ნეტავი რა აქეთ დასაძლავი საღამოს გამეცებს, რომ ანგარიზში არ ახალდებენ გაზეთებში? ჩვენ კი არა, თვით წერა-კითხვის საზოგადოებას, რომლის სასარგებლოთაც იმართება ხოლმე საღამო, არ აძლევენ თურმე ანგარიზს! ამ საზოგადოების წლიურ ანგარიშებში ასეა მოხსენებული: ბათომის კომიტეტს სრული ანგარიში არ გამოუგზავნილა.

ბათომს ალარც ოზურგეთი ჩამოუყვარდება. აქაც დიწყეს ყოველ წლობით საღამოების მართვა ადგილობრივ საქირებებათა დასახმარებლათ. წელს ისე კარგათ მოუწყვიათ საქმე საღამოს გამეცებს, რომ ქუთაისიდან და ბათომიდანაც ბევრი წასულა დასასწრებათ. ყველას ხელი შეუწყვიდა ამ საღამოსათვის, მარა ორი მოალაღატეც გამოჩინა! ეინ არიან ესენი? ბ.ბ. ვ. აბაშიძე (მსახიობი) და კარგარეთელი (მომღერალი)! მსენი, როგორც გვაწმუნებს საღამოს გამეც, თ. ნ. თავდგირიძე, მიწვეული ჰყოლიათ საღამოს დასაშვენებლათ, მარა არ წასულან. ბოდინის მაგიერ ბ. ვ. აბაშიძემ ღორის თავი გაუგზავნა თურმე ოზურგელებს სასაყვედურო წერილის სავასუბოთ! სწორეთ საჯაცი საქმედა „ჩიტის გულიც არ მოითმენს ამას!“ საკალიანდლათ კიდევ მოიხმარებდენ ოზურგეთში ღორის თავს და ახლა რალათ უნდათ! მე რომ კაცმა მკითხოს, სულ მოციქულის ბრალია ეს, რომელიც ბ. აბაშიძეს თურმე წელიწადზე მეტია „თვლითაც არ უნახავს“.

ფოთიდან წელს არაფერი ისმის, მარა მისი დავიწყება მინც არ შეიძლება. ის წინ მიდის, მარა ადგილიდან კი არ ადმარულა! აქ ტელეფონი გამართეს და სალაპარაკო მასალა კი არ აქეთ ისიც კარგია, რომ ზოგჯერ „მიყვარხარ-გოყვარეარ“-ს გამახებენ ხოლმე ერთმანეთს მოტრიალიდენი. ბოღაში ვაკეთდება, კონკა გამართება, ელექტრონის განათება იქნებოა—ამბობენ. შესაძლებელია ყველა იქნეს, მარა მეგრე რა? ეს ხომ ყველა ვარგეანი გაუმჯობესობაა და შინაგანი-იცი ვეცდებიდით არის მოცული! რათ გეინდა ქუჩებზე ელექტრონის სინათლე, თუ გონებას ჰრამიც არ გეინათებს?! გონების ელექტრონი წიგნია და აბა ეინ ზრუნავს, რომ ხალხს ის მიაწოდოს?

ამ ორი წლის წინეთ, განიზრახეს ფოთლებმა უფსაო ბიბლიოთეკის დაარსება, მარა, ჩანს, ყინულზე დაწერეს მისი ისტორია. ქალაქის საბჭომაც გადადგა ამ საქმისათვის ყოველ წლობით სამახი მანეთი, მარა, ჩანს, თვითონვე ამოუყვია თავი დავიწყების კიღობანში! ასე ხდება ხოლმე ყველგან, სადაც საქმეს მეთაური არა ჰყავს.

ამ მხრით ქუთათურებზე ვერ ვიტყვით საყვედურს. ქუჩების ელექტრონით განათებაზე ისინი დიდათ თავს არ იტკიებენ და ნავითაც ვერ ანათებენ ხეირანათ, მარა სამაგიეროთ თითო-ორალა იმათგანს გონების განათების საქირებება შეუგნია და ხელიც მოუკიდა. ეინ გგონიათ ეს პირები? კაცები?

შემცდარი ბრძანდებით: ქალები ვახლავთ. ქუთათურ ქალებს ყოველთვის ჰყალიბათ მაღმერთებელ-მთაყვანებლები, მარა ისინი მარტო სილამაზეს ეტრფოდნენ, სიტურფეს ვთაყვანებოდნენ, ეშხით იხრუკებოდნენ, ღრუ იტკალა და ქალებრთაგან თხარულობენ გარდა ვარგვან სილამაზისა, შინაგან სილამაზესაც. და, აჲ, ეს ალღო პირველათ ჩვენში ქუთათურ ქალებს აუღიათ. დღემდის თუ საჩუქითა და დავარული იყო ტრფივლების სავანი, დღეს ის გამოჩინილი და გამოაშკარავებულია. ქუთათური ქალები დღეს თვალ საჩინოთ იხულებენ გულში იმას... ეის? რას? წიგნებს ზღ... იმათ შეუდგენიათ პატარა წრე და გადატურათ მცოდნე პირის ხელმძღვანელობით იმისი გაცნობა და შესწავლა, რაც საამდროჲო საკითხებს შეადგენს და რის ცოდნაც ყველა შეგნებული პირისთვის საჭირო და მიუცილებელია. ამ საკითხებთა შორის უპირველესი ადგილი პოლიტიკო-ეკონომიურ კითხვებს უკავია და ქუთათურ ქალებსაც აქედან დაუწყიათ მცოდნეობა. შეიძლება ჯერ-ჯერობით მოღთი მონაბერი იყოს ეს, ნიადაგიც არ ჰქონდეს მკვიდრი და ნაყოფიც ვერ გამოიღოს დიდი, მარა ეს მაინც ერთი ბიჯის წინ გადადგმაა. დღეს რაც მოდაა, ხვალ ნამდვილ მოთხოვნილებათ გადაიქცევა და დამკაყოფილებს მოითხოვს. მას ვუსურვოთ წარმატება ამ საქმეს.

* *

არა თუ ინტელიგენცია, დაბალი და უსწავლელი ხალხი-კი ვეღარ კმაყოფილდება ძველებური დროს გატარებით. თუ არ გჯერათ, აი მაგალითიც ამ 10—15 წლის წინეთ თოკითაც ვერ შეიყვანდი დაბალ ხალხს თეატრში და ახლა კი ადგილსაც ვერ შოულობენ. ორ თებერვალს გამართულ სახალხო წარმოდგენაზე იმდენ ხალხს მოეყარა თავი აქჟალის სასადლოში, რომ ტვეა და გასაქანი აღარ იყო: ნუ გეგონებთ, რომ დროს მოსაკლავათ და ფეხის აუოლით იყო შეგროვილი ეს აუარებელი ხალხი, მოსაწონს თავის ალგას იწონებდენ, ვაშა ვაშათი და ტაშის კეთილ ეგებებოდნენ, საცინარზე იცინოდენ და სამწუხაროზე მწუხარებებს იჩენდენ. ყოველსავე ამას, რასაკვირველია, მოთამაშენიც ხელს უწყობდენ თავისი შეგნებული და დაკვირვებული თამაშობით, წარმოადინეს ა. ცაგარლის კომედი „სიმბირელი“ და საზოგადოთ მშენიერითაც ჩაატარეს. რაოდენ დასწავლაში ჩვენი მუდმივი აქტიორები რომ მაგალითს აიღებდენ ამ სცენის მოყვარეთაგან, ურიგო არ იქნება. ზოგიერთებმა სხვა რამესაც მიაქციონ ხოლმე უყრადლება ამათ თამაშობაში და გადაიღონ. სასურველია, რომ ხშირათ იმართებოდეს ხოლმე ასეთი სახალხო წარმოდგენები.


1898 წლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის გავი.



ქანასკნელი ათი წელიწადი რუსეთის საფინანსო საკმის განვითარებაში ნამდვილ ცეცხლო დღეობის ეპოქა ითვლება. 1888 წლამდის სახელმწიფოს გასავალი ძლიერ ჰარბობდა ხაზინის შემოსავალს. ამასთანავე მოხარკეთა ნივთიერა მდგომარეობა დაეცა და უკიდურეს ხარისხამდე მიაღწია. წლითი-წლობამდე მეტი ხარჯების შესავსებლათ, სახელმწიფო იძულებული ხდებოდა ელოდებოდა სარეგლარანი ვალების და გამოეცა ქალაქის ფული, რაცა ხალხის ერთი გამალარიბებელ საშუალებათაგანია. სულ სხვას ეხედავთ დღეს. შემოსავალი (აქტივი) არამც თუ არ უფარდება გასავალს (პასივი), პირქით იგი იძლევა თანდათან უფრო თვალსაჩინო ხედ-მეტს, რომელიც ძალიან კარგათ აკმაყოფილებს სახელმწიფოს სხვადა-სხვა საკანგობო საჭროებებს (როგორც არის მაგ. ახალ ახალი რკინის გზების გაყვანა, ჯარის ხელ-ახალი შეიარაღება, ფლოტის გაძლიერება და სხ).

მართალია, ამ მხრივ მიმდინარე წლის სახელმწიფო შემოსავლ-გასავალის აღრიცხვა არ არის იმდენათ თვალსაჩინო, როგორც ამ უკანასკნელი ოთხი წლისა იყო, მაგრამ ის მაინც დიდით არ ჩამოუვარდება წინა წლების შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას. მიუხედავათ იმისა, რომ ხსენებული აღრიცხვა შედგენილია დიდი სიფრთხილით (იმ მიზეზით რომ მოსავალს საზოგადოთ ცუდი პირი უჩანს) მაინც საერაულდ ჩვეულებრივი შემოსავალი აღმატება წარსული წლის შემოსავალს 46 მილიონი მანეთით და ამა წლის საერაულდ ხარჯს 14,3 მილიონით. თუმცა მიმდინარე წლის ხარჯი ბევრითა ჰარბობს წარსული წლის ხარჯს (66,2 მილიონით), მაგრამ სახეში უნდა მივიღოთ, რომ მიწელ ამ ფულიდან 71% (47,1 მილ.)-ზე მეტი დანიშნულია ისეთ მომგებიან საქმეებისთვის, როგორიც არის ხაზინის მიერ ახლათ შემენილ რკინის გზების (პოლანეთის და როსტოვის) მოხმარება და ლენის მონაპოლიის რაიონის გაფართოება. გარდა ამისა, წელს, ნაცლათ ქალაქის ფულის გამოცემისა, საშუალებები იქნებთან მიღებული ოქროს ფულის მოჭრის და გაფრცელებისათვის.

საერთოთ 1898 წ. ფინანსების მდგომარეობა ბევრით არაფრით იქნება განსხვავებული მის წინა წლების მდგომარეობისაგან. ამასთანავე თითქმის არავითარ ცვლილებას არა ეხედვთ იმ უმთავრეს პრინციპებში, რომლებზედაც დამყარებულია საფინანსო საქმე.



შვეიცის გლეხკაცები თხილამურებით გზაზე.

ვაკრობა-მრეწველობის განვითარება სახელმწიფოს მოქმედების ჩარხთა ხელს კაპიტალისტური კლასის ინტერესებს. აქედან მთავრობას უწინდება ერთი ფრიალ საზოგადოებრივი საქმე. ეს არის შინაური, უკვე არსებული ბაზრის გაქვითვა და მისი გავანთიერება, ამისათვის კი აუცილებელია მიმოსვლის საშუალებათა გაფართოება, გაძლიერება. და აი სახელმწიფოც ხარჯავს აუთარებელ ფულს ახალ-ახალ რკინის გზებზე გასაყვანათ. თითქმის მთელი არა ჩვეულებრივი (სავანგებო) ხარჯი — რომელიც გამოიხატება 123 მილი. მანეთით, დანიშნულია ამ მიზნისათვის. უეჭველია ეს დღე სამსახურს გაუწევს ქვეყანას როგორც ეკონომიურ, ისე საზოგადოთ კულტურულ წინ წაწევის საქმეში.

ოცივე კაპიტალიზმის განვითარება ბადებს არა ნაკლებ მწვავე მოთხოვნებს: გაფართოვებს ეროვნულ ვაკრობა-მრეწველობის საერთაშორისო მნიშვნელობა, ხოლო კლასური ანტიკონარში კი, რაიც დღით დღე უფრო ვითარდება, ჩასმულ იქმნას სათანადო სახსრებში. აქედან იზრდება მილიტარიზმი, მატულობს ხარჯი ჯარისა და ფლოტის გასაძლიერებლათ. მართალია გერმანიაში ამ გვარი მილიტარული მიდრეკილებანი მტკათ მძიმე დაბრკოლებათ ეჯახება, მაგრამ ყველგან ხომ არ არსებობს ასეთი დაბრკოლებანი... მიმდინარე წელს რუსეთის სამხედრო და საზოგადო საშინისტროებისათვის გადაღებულია 355,8 მილი. მანეთი. ეს კი შეადგენს $\frac{1}{3}$ მთელი საერთაშორისო ხარჯისას. 97 წ. შედარებით მიმდინარე წელს მეთი დახარჯება ჯარზე 4,4 მილიონით, ფლოტზე 7.1 მილიონით. აშკარაა, რომ ძლიერების მომატება იავათ არა ჯდება.

დასასრულ, სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვაში უფრადღებს იპყრობს სახალხო განათლების ხარჯი. ამ ხარჯს წარსულ წელთან შედარებით 0,9 მილი. მანეთით უმატნა, უნდა კი ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოთ დროებითი მოვლენაა. რამდენათც თვით კაპიტალიზმის განვითარება ითხოვს შრომის გაუმჯობესებას და განაყოფიერებას, იღენიათ იგი მიუცილებელ საჭიროებათ ხდის საზოგადო და სპეციალურ სახალხო განათლების გაფართოებას. ეს ხელმძღვანელი კლასებს პირდაპირი ინტერესია, და მასასა-დამე აღრე თუ გვიან შემოღებულ იქმნება.

რაც შეეხება შემოსავლის აღრიცხვას, ამ ახალ, როგორც წინეთაც, დამახასიათებელ თვისებათ უნდა ჩაითვალოს „პირდაპირი“ გადასახადები (косвенные налоги). აქვე შევინშნათ, რომ ამ გვარ გადასახადების შემოღება აშკარათ მოწმობს ნატურალურ მეურნეობის დაცემას და ფულის გაბატონებას. მართალია ცუდ მისაყვლის მილოდინში, არა პირდაპირ

გადასახადებით ასაღები შემოსავალი ნაწილობით 11,7 მილი. მანეთით ნაკლები წარსულ წელთან. შედარებით, მაგრამ ამ გადასახადებს მაინც ისევე ყველაზე მეტი ავტომატ აქვს დათმობილი რუსეთის ბიუჯეტში. იგინი შეადგენენ მთელ ჩვეულებრივ შემოსავლის $\frac{2}{3}$ (39,8%)-ს. ამ გარემოებას მტკათ დიდი სოციალური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. საქმე იმაშია, რომ არა პირდაპირი გადასახადები (როგორც არის გადასახად სამხედროებზე, თამბაქოზე, ნეთზე, წუმწუმზე ჩამოდენათმე შექარზე და უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე) მთელი თავისი სიმძიმით აწეება მომხმარებელთა მასას და მით მოეპყრება და მრეწველთა კლასი თუ სულ არ თავისუფლდება, შესამწინეთ მაინც იმსუბუქებს საკუთარ ტვირთს. შეუძლოა და ღარიბი ნაწილი საზოგადოების შედარებით ყოველთვის უფრო მეტს იხდის, ვინმე შეძლებული და მდიდარი. აი ამაშია „პირდაპირი“ გარდასახადთა სისტემის არსებითი მხარე, ამიტომაც ეს სისტემა შესანიშნავათ აძლიერებს საზოგადოების დიდურენციაკის, ავითარებს ქონებრივ უსწორ-მასწორობას სხვა-და სხვა წრის მომხმარებელთა შორის.

მაგრამ რაც უნდა ვითარდებოდეს ხსენებული უსწორ-მასწორობა, ეროვნული სიმდიდრე მაინც იზრდება, მაინც მატულობს. მატულობს აგრეთვე მოთხოვნილებაც და მასთან ერთათ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი საშუალებაც.

როცა „ნაროდნიკები“ წინააღმდეგს ამტკიცებენ, მათ რომ გარემოება ავიწყლებათ. ერთი რომ გლეხის ნატურალური ოჯახის*) დაცემა თავის თავთვე მნიშვნავს მოთხოვნილებათა ზრდას და მეორე, რომ უმრავლესობის გაღარიბებასთან ერთათ იზრდება ესრეთ წოდებულ საშუალო გლეხობისა და დაბალ მოქალაქეთა (мещанство) ყვეთლ დღეობა, მასასადამე მატულობს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც. ხოლო რაკი, დროს განმავლობაში, თვით კაპიტალიზმის განვითარება საშუალო წრეებს გადარტყავს ბოვანო პროლეტარიების ბანაკში, მაშინ „პირდაპირი გადასახადთ“ სისტემა ცოველ გვარ მიმზიდველობას დაკარგავს და პროგრესიულ შემოსავლის დავჯართ ვაწეროდ გადასახადების შემოღება გადიქცევა „დიდურ კითხვათ“.

ამ გვართ: დაუსრულებელი მეცადინეობა ახალ-ახალ რკინის გზების გაყვანისთვის, ჯარისა და ფლოტის გაძლიერებისთვის, სულ მცირეოდენი ზრუნვა სახალხო განათლებაზე, „პირდაპირი გარდასახად-

* ოჯახი, რომელიც საკუთარი შრომით შირდა-შირ ეკმაყოფილებს უოკელ თავის მოთხოვნილებებს.

თა* სისტემის იგივე უპირატესობა (შემოსავლის რუბრიკაში),— აი რითი იქცეეს ყურადღებას 1898 წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. ყველა ეს ძრიელ ნათლათ ავრძნი ბინებს მკითხველს, რომ იგი ნამდვილი კაპიტალისტურ ამოუსყრარა იმყოფება...

— 5.

წერილი ამერიკიდან

(შემდგები *)



წმენების დრო ნიუ-იორკში. სულ სხვანაირი იყო შეგნებულ მუშათა პარტიის მაჩი, ამით გამართეს მაჩი ლამე, საათის 10-ზე, რადგანაც დღითი სამუშაოზე არიან და არა სკალით. ამას აკლდა ყოველივე ის, რაც ახლდა ზემოთ აწერილ მანს, ე. ი. სიმდიდრე და ძვირუფასი მოწყობილობა. სამაგიეროთ მას თან ახლდა ვაჯაყება, უნაგარობა და სამართლიანობა. ეცეათ სადათ, თავის სამუშაო ტანისამოსი, ასე რომ გამოიქნობდით ვინ რის-მუშა იყო, წინ მიუძღოდნენ ერთი ვეფერითელა დროშა, რომლის ქვეშ მიდიდა მკედლის წითელ ტანისამოსში გამოწყობილი მუშა; წინ ჰქონდა აფარებული ტყვის ფართოები, მხარზე გადებული სამკედლო ურო. ამ დროშას აქეთ იქით ცოტა მოშორებით მასდევდა რარი დროშა. ერთი პარტიის ემბლემით, ე. ი. მკლავის გამოხატულება, ხელში ურათი და წარწერით: Social Labour party და მეორეც წარწერით proletariats all the country unite. (პროლეტარიატო ყოველი ქვეყნისაჲ, შეერთდით). შემდეგ სამი დიდი სურათი: მარქსის, ენგელსის და ლასალის. სურათებს მოსდევნენ წითელ ქუდიანნი მემუსიკენი, მათ მუშები, მწყობრათ დაწყობილნი, დას-დასებთ დაყოფილნი. რამდენსამე დასს წინ მიუძღოდნენ მემუსიკენი და მედროშენი. მემანეთა რიციე აღემატებოდა 15 ათასს. მათ შორის ხუთასამდე ქალბიძი დებულობდენ მონაწილეობას* მემანეთ, ნაცელათ ბრაინი და მიკნლის სურათებისა, გულზე აკერიათ წითელი ლენტე, რომელზედაც გამოხატულია მუშებთა ემბლემა წარწერით. S. L. P. ზოგიერთ მუშებს ხელში უკავიათ სხვა და სხვა ბარალები სხვა და სხვა წარწერით: სხვათა შორის ოთხ მუშას მოჰქონდნენ რარი კაცის საბე ფართო ფიცარზე გამართული: ერთი წარმოადგენდა მსუქან ბურჟუას, რომელიც შემოსილი იყო დოლორებით

